ამერიკის შეერთბული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლებური კონსტრუქტი

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.13

იოსებ მამასახლისი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
mamasaxlisi.ioseb@gmail.com
https://orcid.org/0009-0008-9458-0056

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია განიხილავს გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც აყალიბებს თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს, განსაკუთრებული აქცენტით გლობალური ძალების სტრატეგიულ გადანაწილებაზე. კვლევა ასახავს ჰეგემონიური სტრუქტურების დაკნინებას, მრავალპოლარულობის აღორძინებასა და გლობალური მმართველობის ცვალებად დინამიკას. პოლიტიკურ რეალიზმსა და ძალთა ბალანსის თეორიაზე დაყრდნობით, ნაშრომში მიმოხილულია, თუ როგორ უმკლავდებიან წამყვანი აქტორები—აშშ, ჩინეთი და რუსეთი—ახალ გამოწვევებს, როგორიცაა ეკონომიკური გადაჯგუფება, სამხედრო კონფლიქტები და დიპლომატიური კონფიგურაციების ცვლილება.

კვლევაში ასევე გაანალიზებულია ისეთი ალტერნატიული ალიანსების როლი, როგორიცაა BRICS და რეგიონული კოალიციები, რომლებიც დასავლური გავლენის დაბალანსებას ცდილობენ. მეთოდოლოგიურად, ნაშრომი ეყრდნობა ხარისხობრივ ანალიზს, ისტორიულ შედარებებსა და შემთხვევების შესწავლას, რათა წარმოაჩინოს საერთაშორისო პოლიტიკის ევოლუციური ხასიათი. შედეგები მიუთითებს, რომ უნიპოლარული სისტემის შესუსტება ახალ შესაძლებლობებს უქმნის რეგიონულ აქტორებს, თუმცა, ამავდროულად, აძლიერებს გლობალურ გაურკვევლობას და მოითხოვს ადაპტურ სტრატეგიულ მიდგომებს.

საკვანძო სიტყვები: ნეორეალიზმი, მრავალპოლარულობა, აშშ, ანტიგლობალიზმი, ძალთა ბალანსი.

The New Construct of United States Foreign Policy

Ioseb Mamasakhlisi
PhD Student,
Faculty of Social Sciences and Humanities,
Caucasus International University,
mamasaxlisi.ioseb@gmail.com
https://orcid.org/my-orcid?orcid=0009-0008-9458-0056

Abstract

This article examines the geopolitical transformations shaping the contemporary international order, with a particular focus on the strategic recalibration of global powers. The study highlights the decline of traditional hegemonic structures, the resurgence of multipolarity, and the shifting dynamics of global governance. Through the lens of political realism and the balance of power principle, the paper explores how key actors, such as the United States, China, and Russia, navigate emerging challenges, including economic adjustments, military conflicts, and diplomatic reconfigurations. The research further scrutinizes the role of alternative alliances, such as BRICS and other regional coalitions, in counterbalancing Western influence. Methodologically, the paper employs qualitative analysis, incorporating historical comparisons and case studies to illustrate the evolving nature of international politics. The findings suggest that while the erosion of the unipolar system presents new opportunities for regional actors, it simultaneously intensifies global uncertainty, necessitating adaptive strategic approaches.

Keywords: Neorealism, Multipolarity, USA, Antiglobalism, Balance of Power.

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვექტორმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. 2025 წლისთვის ქვეყანა ახალ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს აწყდება, რაც საგარეო პოლიტიკურ კურსზე გავლენას ახდენს და მოითხოვს მისი სტრატეგიული პარადიგმის გადახედვას. ამ კონტექსტში, პოლიტიკური რეალიზმის თეორეტიკული ფრეიმვორკის გამოყენებით, შესაძლებელია მიმდინარე პროცესების სისტემატური ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმის სკოლას გრძელი ისტორიული ტრადიცია აქვს, შეიძლება კვლავ გამოყენებულ იქნას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების

ინტერპრეტაციისთვის. პოლიტიკური რეალიზმი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის თეორია, ყურადღებას ამახვილებს რეალურ ძალთა ბალანსზე და სახელმწიფოების პირად ინტერესებზე. ეს პრინციპები განაპირობებს პოლიტიკური აქტორების გადარჩენას ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. იმ ფონზე, როდესაც აშშ-ს გაზრდილი საფრთხეები ემუქრება რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის აუცილებელი ხდება ძველი საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვა და ახლებური გააზრება. 2021 წელს აშშ-ის გასვლა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან გახდა იმ დიდი ეპოქის დასასრულის ნიშანი, როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკა კონცენტრირებული იყო სამხედრო ინტერვენციებით დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზე. მსგავსი მიდგომა, ტრადიციული და იდეალისტური პრინციპებიდან გამომდინარე, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა აღნიშნული პოლიტიკის ეფექტურობასა და მიზნობრიობასთან დაკავშირებით, რაც მას სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს.

ამ ნაშრომის აქტუალურობა განპირობებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობით, განსაკუთრებით კი იმ ცვლილებების ანალიზით, რომლებიც პოლიტიკური რეალობის ფონზე ვითარდება. დღევანდელ მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგში, სადაც პოლუსებს შორის დაპირისპირება იზრდება, აუცილებელია, რომ აშშ-მა საკუთარი საგარეო პოლიტიკა არსებულ რეალობას მოარგოს.

ნაშრომი კონცენტრირდება რეალიზმის თეორიულ პრინციპებზე და მათ გამოყენებაზე რეალურ პოლიტიკაში. კვლევის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთ-ჩინეთის კონკურენცია გლობალურ პოლიტიკაში. როგორც რუსეთის ფედერაცია, ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცდილობენ საკუთარი გავლენების გამყარებას საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც აშშ-ის მიერ გამოწვევად მიიჩნევა. ამ საფრთხეების საპირწონედ, აშშ-მ შესაძლოა უფრო აგრესიული, შეტევითი პოლიტიკა აწარმოოს, რაც დეტალურად იქნება განხილული ამ ნაშრომში. შეტევითი პოლიტიკის ინსტრუმენტებად შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია, ასევე ეკონომიკური, დიპლომატიური და საინფორმაციო წნეხის მთელი სპექტრი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აშშ-ის სამშვიდობო რიტორიკამ არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ის თავს აარიდებს ძალის გამოყენებას, როდესაც მისი ეგზისტენციალური ინტერესები დადგება საფრთხის ქვეშ.

ნაშრომში ასევე შევეხებით ტრადიციული პოლიტიკური რეალიზმის კრიტიკას. მიუხედავად საკუთარი მნიშვნელობისა, რეალიზმის თეორია კრიტიკის ადრესატი ხდება საკუთარი მოუქნელობისა და ახალი ფაქტორების (როგორიცაა გლობალიზაცია, კლიმატის ცვლილებები და ტრანსნაციონალური საფრთხეები) უგულებელყოფის გამო.[196] შესაბამისად, ნაშრომი მიმართული იქნება ტრადიციული მიდგომების ნაკლოვანებების გამოსავლენად და მათ ახალ გარემოებებთან ადაპტირებისთვის.[197]

შეჯამების სახით, ეს კვლევა მიმართულია იმის ანალიზზე, თუ როგორ ახდენს აშშ პოლიტიკური რეალიზმის პრინციპების ადაპტირებას ახალ რეალობაში, სადაც ის ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებს ეჯახება. ეს მოგვცემს საშუალებას, არამხოლოდ მკაფიოდ გავიგოთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ცვლილებების შესახებ, არამედ, ასევე, განვსაზღვროთ ის გამოწვევები და საფრთხეები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ანარქიულ საერთაშორისო ასპარეზზე ელის.

ამგვარად, ნაშრომი მოიცავს თემების ფართო სპექტრს, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე დონალდ ტრამპის 2025 წელს აშშ-ის 47-ე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ.

მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი - ბაიდენის მემკვიდრეობა

2024 წელს აშშ-ის საგარეო პოლიტიკა რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ეს მოხდა ისრაელსა და ჰამასს, ასევე უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე კონფლიქტების ფონზე, რამაც მნიშვნელოვნად გაამწვავა მისი დღის წესრიგი.[198]

ისრაელის მხარდაჭერამ გამოიწვია დასავლეთის საზოგადოების გახლეჩა, ხოლო უკრაინის კონფლიქტმა გააძლიერა დაძაბულობა რუსეთთან. აშშ რჩება გლობალურ აქტორად, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას პარტნიორებისთვის, მაგრამ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მიერ რუსეთის

[196] Janosch Prinz, Enzo Rossi. "University of Amsterdam." *Political realism as ideology critique.* April 22, 2017. https://ueaeprints.uea.ac.uk/id/eprint/63280/ (accessed March 22, 2025).
[197] Rosenau, James N. *Turbulence in World Politics.* Princeton: Princeton University Press, 1990.

[198] Mier, Anna. "War in Palestine and its Impact on Western countries." *Universidad de Navarra*, 2024.

მხარდაჭერა, ისევე როგორც ირანის პროქსი სტრატეგია ჰეზბოლასა და ჰუსიტების მეშვეობით, ზრდის რეგიონულ დაძაბულობას.

ევროკავშირი, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია აშშ-ის ტრადიციული მოკავშირეები არიან, მაგრამ გლობალური ჰეგემონიის განხორციელება რთულია. BRICS-ისა და ОДКБ-ის გაძლიერება ასახავს მრავალპოლარულობის ტენდენციას, რაც გამოწვევას უქმნის დასავლურ დომინაციას.[199] 2023 წელს BRICS-ის გაფართოებამ (ეგვიპტე, ირანი, საუდის არაბეთი, UAE, არგენტინა, ეთიოპია) გაზარდა მისი გავლენა, აკონტროლებს მსოფლიო მშპ-ის 29%-სა და ნავთობის 43%-ს. ყაზანის სამიტმა 2024 წელს ხაზი გაუსვა დედოლარიზაციისა და ეროვნული ვალუტებით ვაჭრობის გაფართოებას, რაც აშშ-ის ფინანსური დომინაციისთვის გამოწვევაა. ბაიდენის ადმინისტრაციამ რთული მემკვიდრეობა დაუტოვა ახალ პრეზიდენტს, რაც მოითხოვს საგარეო პოლიტიკის ადაპტაციას მრავალპოლარულ სამყაროში.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო ვექტორი

2025 წელს ტრამპის ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკაში ნეორეალისტურ მიდგომას ამკვიდრებს, ფოკუსირებული ეროვნულ ინტერესებზე, რაც პრაგმატულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება. გლობალური უსაფრთხოების სტრუქტურა, მათ შორის, გაერო და უშიშროების საბჭო, კარგავს ეფექტურობას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების უბიძგებს გადავიდეს ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებულ სისტემაზე, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ძალაუფლების ბალანსს.[200]

რუსეთი, დასავლური სანქციებისა და იზოლაციის ფონზე, გადახედავს საგარეო პოლიტიკას და ცდილობს საბჭოთა მემკვიდრეობის გამოყენებით რეგიონული და გლობალური გავლენის აღდგენას. ტრამპის ანტიგლობალისტური სტრატეგია, რომელიც უარყოფს ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი (IMF), ქმნის რუსეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ჩინეთის მზარდი გავლენის შესაკავებლად.[201] ეს მიდგომა მიზნად ისახავს გლობალისტური ელიტისა და ფინანსური ინსტიტუტების დომინაციის შემცირებას, რაც ხელს უწყობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებას. ამ ახალ წესრიგში ეროვნული სახელმწიფოები და

[199] Christopher S. Chivvis, Jack Keating. "Cooperation Between China, Iran, North Korea, and Russia: Current and Potential Future Threats to America." *The Carnegie Endowment for International Peace*, 2024.
[200] Mearsheimer, John J. *The tragedy of Great Power politics.* New York : Norton: Norton, 2001.
[201] Klomegah, Kester Kenn. "China and Russia Renew Anti-Western Confrontation and Continue Building Multipolar World." *Moderndiplomacy.* APRIL 11, 2024. https://moderndiplomacy.eu/2024/04/11/china-and-russia-renew-anti-western-confrontation-and-continue-building-multipolar-world/ (accessed MAY 27, 2025).

ეკონომიკური ინტერესები ჭარბობს, რაც მრავალპოლარულ სამყაროს უწყობს ხელს. საშინაო განხეთქილების მიუხედავად, ტრამპი ცდილობს შექმნას ახალი წესრიგი, სადაც აშშ, რუსეთი და ჩინეთი მთავარ როლს ითამაშებენ. ის ესწრაფვის რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერებას, განსაკუთრებით ენერგორესურსების კონტროლისთვის, რათა ჩინეთთან მოლაპარაკებებში უპირატესობა მოიპოვოს.[202] მისი პრაგმატიზმი ვლინდება კრიპტოვალუტებზე დაფუძნებული ფინანსური სისტემის იდეაში, რაც ამცირებს გლობალური კრიზისების რისკებს. ასევე, იგი უპირატესობას ანიჭებს ორმხრივ დიპლომატიას გაერთიანებებთან ურთიერთობის ნაცვლად.

XX საუკუნეში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისარგებლა მსოფლიო ომებითა და ცივი ომის დასრულებით, რამაც მას ეკონომიკური და სამხედრო დომინაციის დამყარების საშუალება მისცა. თუმცა, XXI საუკუნეში BRICS-ის ქვეყნების ეროვნული ვალუტებით ვაჭრობა და ჰუსიტების თავდასხმები წითელ ზღვაში მნიშვნელოვნად ასუსტებს ამ უპირატესობას. დონალდ ტრამპი აქტიურად ანგრევს ძველ სტრუქტურებს, როგორებიცაა გაერო და ეუთო, და ქმნის ტრანზაქციულ მიდგომას. ამ მიდგომით, სახელმწიფოები განიხილება ეკონომიკურ სუბიექტებად, რაც რადიკალურად ცვლის კლასიკურ დიპლომატიას.

ჩინეთის შესაკავებლად ტრამპი ცდილობს გრენლანდიის კონტროლს, რათა ჩრდილოეთის სავაჭრო მარშრუტები გააკონტროლოს. ირანის, როგორც ჩინეთის ენერგომომწოდებლის, ნავთობის ინფრასტრუქტურის შესუსტება, რუსეთის 2025 წლის სტრატეგიული ხელშეკრულების ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატების ჩინეთთან მოლაპარაკებებში უპირატესობას ანიჭებს.[203]

ტრამპის პოლიტიკა მიზნად ისახავს რუსეთ-ჩინეთის კავშირის შესუსტებას, ირანის ეკონომიკური პოტენციალის შეზღუდვას და გრენლანდიისა თუ კანადის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებას. ეს საშუალებას მისცემს ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთთან სასარგებლო გარიგება დადოს. საფრანგეთი, მაკრონის ამბიციური განცხადებებით, ცდილობს ევროპის ლიდერობას, განსაკუთრებით ბირთვული ელექტროსადგურებითა და ASTRID პროგრამით, რაც ევროპას რუსული ენერგიაზე დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებს.[204] თუმცა, მისი ინიციატივები,

[202] Sacks, David. *Fox buisnes.* marti 7, 2025. https://www.foxbusiness.com/markets/trumps-u-s-crypto-strategic-reserve-currencies-included (accessed marti 20, 2025).

[203] Rahn, Richard W. "Does Iran already have nuclear weapons?" *Washingtontimes*, 2024.
[204] Reuters. "France drops plans to build sodium-cooled nuclear reactor." *REUTERS*, 21 AGVISTO, 2019.

მაგ., უკრაინაში ჯარების გაგზავნა ან ბირთვული ქოლგა, შეზღუდული გავლენისაა. ტრამპის „ვულგარული'' პრაგმატიზმი, მიუხედავად კრიტიკისა, ხელს უშლის გლობალურ კონფლიქტს, რადგან აქტივებზე ორიენტირებული ადმინისტრაცია თავს იკავებს აპოკალიფსური სცენარებისგან, რაც ახალი წესრიგის ფორმირებისას სტაბილურობის იმედს იძლევა.

დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლებური კონსტრუქტი, რომელიც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ 2025 წელს ჩამოყალიბდა, წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე პრაგმატულ გამოვლინებას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ კონსტრუქტის ძირითადი მიზანია აშშ-ის გლობალური ლიდერობის შენარჩუნება და გაძლიერება მრავალპოლარული მსოფლიოს პირობებში, სადაც რუსეთი და ჩინეთი განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებენ. ტრამპის ადმინისტრაცია ცდილობს, გადახედოს ძველ გლობალისტურ სტრუქტურებს და შექმნას ახალი, უფრო დეცენტრალიზებული და ეროვნული ინტერესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი. ეს მიდგომა გულისხმობს ძველი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა გაერო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როლის შემცირებას და ახალი ფინანსური სისტემების შექმნას, რომლებიც დაფუძნებული იქნება კრიპტოვალუტებზე და ეროვნულ ვალუტებზე. ამასთან, ტრამპის პოლიტიკა ორიენტირებულია რუსეთთან და ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებაზე, რათა გლობალურ დონეზე ახალი ძალთა ბალანსი შეიქმნას.

რუსეთი, რომელიც ცდილობს რეგიონალური გავლენის აღდგენას, და ჩინეთი, რომელიც გლობალური ეკონომიკური და სამხედრო ძალაუფლების მზარდი აქტორია, განიხილება როგორც აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგეები. ამ კონტექსტში, ტრამპის ადმინისტრაცია ცდილობს, გამოიყენოს ირანის საკითხი და გრელანდიის ტერიტორიული კონტროლი როგორც "კოზირები" ჩინეთთან მოლაპარაკებებში. ამასთან, საფრანგეთის როლი, როგორც ევროპის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გარანტის, ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი ახალი გლობალური წესრიგის ჩამოყალიბებაში. საბოლოო ჯამში, ტრამპის პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ გამოვლინებას, რომელიც ორიენტირებულია ეროვნული ინტერესების მაქსიმალურ დაცვაზე და გლობალური ძალაუფლების ბალანსის გადანაწილებაზე. ამ მიდგომის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს აშშ გადალახოს არსებული გამოწვევები და

დაამყაროს ახალი, მდგრადი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს მის გლობალურ ლიდერობას ცვალებად მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა

Christopher S. Chivvis, Jack Keating. "Cooperation Between China, Iran, North Korea, and Russia: Current and Potential Future Threats to America." *The Carnegie Endowment for International Peace*, 2024.

Cooper, John Milton. *Britannica.* თებერვალი 21, 2025. https://www.britannica.com/event/Fourteen-Points (accessed მარტი 21, 2025).

Federation, The Ministry of Foreign Affairs of the Russian. "Sergey Lavrov's remarks at a presentation of the Department for Partnership with Africa, Moscow, ." *The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation.* თებერვალი 4, 2025. https://www.mid.ru/en/foreign_policy/news/1994570/ (accessed მარტი 20, 2025).

Janosch Prinz, Enzo Rossi. "University of Amsterdam." *Political realism as ideology critique.* April 22, 2017. https://ueaeprints.uea.ac.uk/id/eprint/63280/ (accessed March 22, 2025).

Kennan, George F. *Russia and the West under Lenin and Stalin.* Little Brown/BOMC, 1961.

Klomegah, Kester Kenn. "China and Russia Renew Anti-Western Confrontation and Continue Building Multipolar World." *Moderndiplomacy.* APRIL 11, 2024. https://moderndiplomacy.eu/2024/04/11/china-and-russia-renew-anti-western-confrontation-and-continue-building-multipolar-world/ (accessed MAY 27, 2025).

Mearsheimer, John J. *The tragedy of Great Power politics.* New York : Norton: Norton, 2001.

Mier, Anna. "War in Palestine and its Impact on Western countries." *Universidad de Navarra*, 2024.

Rahn, Richard W. "Does Iran already have nuclear weapons?" *Washingtontimes*, 2024.

Reuters. "France drops plans to build sodium-cooled nuclear reactor." *REUTERS*, 21 AGVISTO, 2019.

Rosenau, James N. *Turbulence in World Politics.* Princeton: Princeton University Press, 1990.

Sacks, David. *Fox buisnes.* marti 7, 2025. https://www.foxbusiness.com/markets/trumps-u-s-crypto-strategic-reserve-currencies-included (accessed marti 20, 2025).

Sky, Zoey. "NUCLEAR UMBRELLA: Macron commits France's 300 BALLISTIC MISSILES to deter a possible Russian attack." *Naturalnews*, 2024.

Stent, Angela. *Putin's World: Russia Against the West and with the Rest .* Twelve, 2019.

Wintour, Patrick. *Putin returns to world stage hosting 36 leaders at Brics summit in Russia.* ოქტომბერი 23, 2024. https://www.theguardian.com/business/2024/oct/22/putin-brics-summit-russia-china-india-iran-kazan?utm_source=chatgpt.com (accessed მარტი 20, 2025).